ახალი Toyota C-HR: ავტომობილი, რომელსაც საქართველოში ბევრი ელოდება

- ტოიოტამ პოპულარული მოდელის, Toyota C-HR-ის ახალი თაობა წარმოადგინა
- ახალი Toyota C-HR მთავარ ტრადიციას არ ღალატობს და ამასთან გაცილებით დახვეწილია
- სპორტულ-ელეგანტური დიზაინი, მეტი კომფორტი და მეტი პრაქტიკულობა ახალ მოდელში

“ტოიოტამ” თავისი პოპულარული კომპაქტური ქროსოვერის, Toyota C-HR-ის ახალი, მეორე თაობა წარმოადგინა. ახალი მოდელი ტექნოლოგიური თვალსაზრისით სრულიად ახალ, “ტოიოტას” მარკის ბოლო მოდელების დონეზე ავიდა, ხოლო ვიზუალურად კი კიდევ უფრო მოდური და ელეგანტურიც გახდა. ახალი Toyota C-HR აგრძელებს თავის მთავარ ტრადიციას: გამოირჩევა თვალშისაცემი, ექსტრავაგანტური დიზაინით და ამავდროულად, უფრო ტევადი და პრაქტიკულიც გახდა, “ტოიოტას” ახალი, მეხუთე თაობის ჰიბრიდული სისტემა კი სეგმენტში ერთ-ერთი საუკეთესო ეკონომიურობის გარანტიაა. გარდა ამისა, ახალი მოდელი მაქსიმალურად ეკო-მეგობრულია.

Toyota C-HR-ის წინა მოდელი 2017 წლიდან იწარმოებოდა და ამ ხნის მანძილზე, მხოლოდ ევროპაში 700 000-ზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. ამ მოდელის პოპულარობა თვალსაჩინო იყო საქართველოშიც - Toyota C-HR-ზე გამოსვლის დღიდან მზარდი მოთხოვნა იყო. ახალი, მეორე თაობის Toyota C-HR კი იმდენად გაუმჯობესებულია, რომ “ტოიოტაში” მისი მოყვარულებისა და მომხმარებლების რაოდენობის ზრდას ელოდებიან.

Toyota C-HR-მა ამ 6 წლის განმავლობაში ფაქტობრივად თავისი საკუთარი სეგმენტი შექმნა. შესაბამისად, მეორე თაობის მოდელზე მუშაობისას იაპონელი ინჟინრების ამოცანა ასეთი იყო: Toyota C-HR უნდა დარჩენილიყო გამომწვევ, ყველასგან განსხვავებულ ავტომობილად, მაგრამ უნდა გამხდარიყო უფრო პრაქტიკული, ტექნოლოგიური თვალსაზრისით უნდა ასულიყო ახალ, თანამედროვეობისთვის შესაბამის საფეხურზე, ხოლო მისი მართვა უნდა გამხდარიყო კიდევ უფრო სპორტული.

ახალი Toyota C-HR ვიზუალურად კიდევ უფრო მკვეთრია. ექსტერიერის დიზაინის ყველაზე თვალშისაცემი სიახლეა მისი ახალი მთავარი ფარები, 5-ნაწილიანი დღის განათებით. წინიდან ახალი Toyota C-HR სრულიად ახლებურად გამოიყურება და “ტოიოტას” დიზაინის ახალ სტილს გამოხატავს.

კუთხოვანი და მძაფრი დიზაინით გამოირჩევა ავტომობილის პროფილიც. C-HR-ს ახლა გაცილებით მკვეთრი კანტები აქვს. შეიცვალა უკანა კარების სახელურების პოზიცია - სახელურები ახლა ქვემოთ, იმ ადგილზეა განთავსებული, სადაც ყველა ელოდება. პირველი თაობის Toyota C-HR-ზე დისკების მაქსიმალური ზომა 19 დუიმი იყო, ახლა კი მაქსიმუმი 20-დუიმიანი დისკებია. ოდნავ შემცირდა ავტომობილის სიგრძე. ახალი C-HR 4 მეტრი და 36 სანტიმეტრია. სამაგიეროდ, ავტომობილი ოდნავ უფრო განიერი გახდა, სიმაღლეში კი იგივეა - მეტრი და 56 სანტიმეტრი. უცვლელია თვლების ბაზაც: 2 მეტრი და 64 სანტიმეტრია.

ახალი Toyota C-HR-ის უკანა ნაწილს ყველაზე კარგად ეს ეპითეტი შეესაბამება: ექსპრესიული. განსაკუთრებით თვალშისაცემია უკანა განათების ახლებური განლაგება - განათების ხაზი ფორმირებულია როგორც ერთი მთლიანი ელემენტი, რომელსაც შუაში ამშვენებს წარწერა Toyota C-HR. რაც მნიშვნელოვანია, გაიზარდა საბარგულის მოცულობა.

ახალი Toyota C-HR-ის ინტერიერში სრულიად თანამედროვე და მოდური გარემო დაგხვდებათ. ცენტრალური კონსოლი მთელ კოკპიტს მძღოლისკენ აძლევს მიმართულებას. მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია სალონში გამოყენებული მასალების ხარისხი. ავტომობილმა მიიღო უახლესი Head-up-დისპლეი - ხელსაწყოთა ჩვენებების წინა მინაზე პროეცირების სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს მძღოლს, გზიდან თვალის მოწყვეტის გარეშე, მართვის პანელის ძირითადი მონაცემები მუდმივად მხედველობის არეში ჰქონდეს.

ახლა უკვე ციფრულია საზომ ხელსაწყოთა ბლოკი, რომლის ეკრანი 12,3 დუიმიანია. ამავე ზომისაა გასართობ-საინფორმაციო სისტემის ცენტრალური ეკრანიც. მეტი კომფორტის გარანტიაა Apple CarPlay და Android Auto უსადენოდ. ყურადღებას იქცევს შემცირებული ზომის სპორტული საჭე, რომელიც განსაკუთრებით GR Sport ვერსიაში გამოიყურება ეფექტურად, რადგან წარმოდგენილია პერფორირებული, დახვრეტილი ტყავით. ახალმა Toyota C-HR-მა მიიღო “ტოიოტას” ახალი სარკე, რომელსაც აქვს ორი რეჟიმი: ჩვეულებრივი და კამერული. ინტერიერის განათება 64 ფერისგან შედგება. ფერების ინდივიდუალიზება ან აბსოლუტურად თავისით ხდება, ან დღის დროის მიხედვით, ან სვლის რეჟიმის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ახალი C-HR-ის ინტერიერი 100 პროცენტით ვეგანურია. ახლა უკვე საგრძნობლად მეტი სივრცეა უკანა მგზავრებისთვის და უკანა სავარძელზე ხილვადობაც გაცილებით გაუმჯობესდა.

ახალი Toyota C-HR, ჩვენს რეგიონში , 3 კომპლექტაციის სახით გვხვდება ~~ჩვენს რეგიონში~~. საწყისი ვერსია 1,8-ლიტრიანი ბენზინის ძრავითაა წარმოდგენილი, რომელსაც 140 ცხენის ძალა აქვს. შემდეგ მოდის 2-ლიტრიანი ძრავის მქონე ვერსია 198 ცხენის ძალით (წინა ამძრავი). ეს უკანასკნელი ასევე ხელმისაწვდომია სრული ამძრავით როცა ელექტრომოტორი უკანა ღერძზეა განთავსებული და 30 კილოვატი აქვს. თუმცა სისტემური სიმძლავრე არ იცვლება და 198 ცხენის ძალა რჩება.

Toyota C-HR-მა არა მარტო შეინარჩუნა ყველაზე მთავარი რამ, რითაც გამოირჩეოდა და რის გამოც ყიდულობდნენ - ანუ მძაფრი დიზაინი, არამედ კიდევ უფრო და~~ი~~ხვეწა და ახლა არა მარტო განსხვავებული და მასაში გამორჩეულია, არამედ ელეგანტურიც გახდა. ეს არის თანამედროვე “ლაიფსტაილერი” - ტოიოტას ხარისხით, ტოიოტას სანდოობით და ტოიოტას უახლესი ჰიბრიდული სისტემით, რაც ნიშნავს ახალ მოდელში მართვის მეტ სიამოვნებას, კიდევ უფრო ნაკლები საწვავის ხარჯით.

ახალი C-HR “ტოიოტა ცენტრი თბილისში”, “ტოიოტა ცენტრ თეგეტასა” და “ტოიოტა ცენტრი ბათუმში” 2024 წლის იანვრის ბოლოდან იქნება ხელმისაწვდომი.